საერთაშორისო კონფერენცია თემაზე:

„აღმოსავლეთ თანამეგობრობის ქვეყნებში აუდიტისა და ბუღალტრული ანგარიშგების გაძლიერება“

2013 წლის 30 სექტემბრიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშ-გების რეფორმის ცენტრმა, ავსტრიის დედაქალაქ ვენაში უმასპინძლა რეგიონალურ ღონისძიებას, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ სახელმწიფო მოხელეები, ფინანსებისა და აუდიტის რეგულატორები, ფინანსური ანგარიშგების პროფესიის ლიდერები და სხვა ინსტიტუციების წარმომადგენლები, რომლებიც საკვანძო როლს თამაშობენ ანგარიშგების რეფორმაში ცენტრალურ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

საქართველოდან, მსოფლიო ბანკის მიწვევით, ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ფინანსთა სამინისტროდან, მინისტრის მოადგილე გიორგი თაბუაშვილი, ეროვნული ბანკის ზედამხედველობის სამსახურიდან ნინო შარუმაშვილი, პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციიდან: გამგეობის თავმჯდომარე ზურაბ ლალა ზაშვილი, გამგეობის წევრი რევაზ ძაძამია, აღმასრულებელი დირექტორი ლავრენტი ჭუმბურიძე და ACCA-ის სასწავლო პროგრამების კოორდინატორი მარინა რევაზიშვილი.

ღონისძიების მიზანი იყო: 1) მონაწილეთათვის გაეცნო უახლესი ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის განვითარების შესახებ ევროპაში; 2) წარმოედგინა აუდიტისა და ანგარიშგების გაძლიერების პროგრამა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის(STAREP); და 3) უზრუნველეყო პლატფორმა ფინანსური ანგარიშგების რეფორმაში მიღწეული წარმატებისა და დაგროვილი გამოცდილების გაზიარებისთვის.

საქართველომ, სასომხეთმა, აზერბაიჯანმა, ბელარუსიამ და მოლდოვამ მიაღწიეს მნიშვნელო-ვან წარმატებებს ფინანსური აღრიცხვის სისტემების მოდერნიზაციაში, მაგრამ მათ წინ კიდევ არის არსებითი ამოცანები ამ სფეროში, განსაკუთრებით ინსტიტუციონალური კომპეტენციის კუთხით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებს აქვთ საერთო მიზნები, როგორიცაა კორპორაციული ფინანსური აღრიცხვის სისტემების მოდერნიზაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც არიან ევროკავშირში გაერთიანების პრეტენდენტები. ეს ქმნის პლატფორმას კორპორაციული ფინანსური აღრიცხვის რეფორმების მომზადებასა და განხორციელებაში დაგროვილი გამოცდილების გაცვლისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. მეტიც, აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა წევრი მიისწრაფვის ევროკავშირთან უფრო კეთილსინდისიერი ეკონომიკური კავშირების განვითარებისკენ, რაც ქმნის დამატებით მოტივაციას კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების(კფა) საერთო სისტემის ჩამოყალიბები-სთვის, ევროკავშირის ნორმატიული სისტემის (acquiscommunautaire) ჩარჩოებში. საერთაშორისოდ აღიარებული საერთო სტანდარტების მიღება საშუალებას მისცემს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კომპანიებს, გააფართოონ საქმიანობა როგორც სახელმწიფო, ასევე ევროპული ბაზრის ფარგლებში.

ამასთან დაკავშირებით, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმირების ცენტრმა მოამზადა ახალი რეგიონალური პროგრამა აუდიტისა და ფინანსური ანგარიშგების გაძლიერები-სთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (STAREP), რათა დაეხმაროს მონაწილე ქვეყნებს კფა-თან დაკავშირებული რეფორმების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

პროგრამის მიზანია მონაწილე ქვეყნებს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვეთი და უკრაინა) დაეხმაროს კომპეტენციის ფორმირებაში და ასევე ბუღალტრული და აუდიტური პროფესიის წარმომადგენლებს, მარეგულირებელ ორგანოებს, სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს კფა-ს ინსტიტუციური ბაზის შექმნაში, რომელიც შესაბამისობაში იქნება ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან.

STAREP მონაწილე სახელმწიფოებს დაეხმარება არა მხოლოდ კფა-ს სისტემების გაუმჯობე-სებაში, არამედ ადგილობრივ ორგანიზაციათა კომპეტენციის ამაღლებაში, რაც საჭიროა ამ სისტემების ეფექტური დანერგვისთვის. ამას გარდა, პროგრამის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკოსი ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის ყველა საჭირო რესურსისა და ინ-სტრუმენტის მიწოდებას, რომელიც შესაძლებელს გახდის საერთაშორისო სტანდარტების უფრო ზუსტად დაცვას.

STAREP-ის ადრესატები არიან მხარეები, რომლებიც დაინტერესებული არიან კფა-ს რეფორ-მაში, რომელთა რიცხვშიც შედიან ფინანსური ანგარიშის შემდგენლები და მომხმარებლები, ასევე რეფორმირების პროცესის პირდაპირი მონაწილეები. პროგრამის ღონისძიებები შემუშავდა ამ ჯგუფთა ინტერესების გათვალისწინებით და მიზნად ისახავს მათ ჩართვას რეფორმის პროცესში.

STAREP-ის ფარგლებში მხარდაჭერას აღმოუჩენენ დაინტერესებულ პირთა ფართო წრეს, მათ შორის ფინანსთა სამინისტროებს, ბუღალტრის პროფესიის წარმომადგენლებს, ფინანსური სექტორის მარეგულირებელ ორგანოებს, ბუღალტრული აღრიცხვის მასწავლებლებს. ძირითადი ყურადღება დაეთმობა:

- ბუღალტრული საქმის სწავლების სისტემის სრულყოფას;
- კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების ინსტიტუციონალური ბაზის სრულყოფას;
- ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის ევროკავშირის ნორმების შესაბამისი სტანდარტების დანერგვის კამპანიის სტიმულირებას;
- საკვანძო ორგანიზაციებს შორის საერთაშორისო კავშირების გაძლიერებასა და მონაწილეთა შორის საერთაშორისო გამოცდილების გაცვლის სტიმულირებას.

პროგრამის სტრუქტურა მოიცავს სამ თემატურ კომპონენტს, ორ მრავალასპექტიან კომპონენტს და პროგრამის მართვას. თემატური კომპონენტები მოიცავს: 1) განათლების რეფორმას ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში, რომელიც მიმართული იქნება განათლების სისტემის რეფორმის სტიმულირებისკენ; 2) ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სტანდარტებს, რომლებიც აქცენტირებული იქნება მცირე და საშუალო ბიზნესებზე და 3) ფინანსური სექტორის პრაქტიკული ფორუმი, რათა გაიზარდოს ფინანსური სექტორის ხელმძღვანელთა ინფორმირება IFRS-ების კუთხით. მრავალასპექტიანი კომპონენტებია: 1) რეფორმის ტემპები და მხარდაჭერა, რათა გაიზარდოს რეფორმირების ტემპი და რეგიონალური თანამშრომლობა, ასევე დახმარების აღმოჩენა ცოდნის მართვის სფეროში, საინფორმაციო პორტალის მეშვეობით; 2) სახელმწიფო დონეზე რეალიზაციაში მხარდაჭერა, რათა რეფორმები ჩატარდეს ქვეყნის მასშტაბით, რაც თავის თავში მოიცავს ტექნიკური მხარდაჭერის, მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა ღონისძიებებს და 3) პროგრამის მართვა.

იგეგმება სახელმწიფო და კერძო სექტორის ყველა კორპორაციული ფინანსური აღრიცხვის მონაწილის ჩართვა პროგრამაში, რომელთა რიცხვში შედიან როგორც ბუღალტრული ინფორმაციის მომხმარებლები, ასევე მისი მომმზადებლები.

იგეგმება, რომ პროგრამის ღონისძიების ძირითადი მონაწილეები იქნებიან:

- სახელმწიფო მოხელეები, რომელთა ვალდებულებაში შედის კორპორაციული ფინანსური აღრიცხვის ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის შექმნა და აღსრულება. ძირითადად, ესენი იქნებიან ფინანსთა სამინისტროების წარმომადგენელნი, მაგრამ ასევე გამორიცხული არაა სხვა სამინისტროთა წარმომადგენლების ჩართვა პროცესში;
- მთავრობის ან ბუღალტრული პროფესიის ისეთი წარმომადგენლები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ეროვნული სტანდარტების შექმნაში;
- ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები და ფინანსურ კომპანიათა ხელმძღვანელები, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, გააანალიზონ ბანკებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების ბუღალტრული ანგარიშები, რათა ეფექტურად განახორციელონ ფინანსური ანგარიშგების რეგულირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები;
- ბუღალტრული პროფესიის წარმომადგენლები, რომელთა მოვალეობაცაა ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიონალური მომზადება და ტრენინგი;
- ფინანსური ანგარიშგების შემდგენლები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან კერძო სექტორში;
- ფინანსური ანგარიშისგების მომხმარებლები, განსაკუთრებით შიდა დაფინანსების წყაროთა წარმომადგენლები, როგორებიცაა ბანკები და კაპიტალის ბაზრის ინვესტორები.

პროგრამის სხვადასხვა კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებები ორიენტირებული იქნება ამ მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებზე. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლასთან დაკავშირებული ღონისძიებები ორიენტირებული იქნება, ძირითადად, ორგანიზაციებზე, რომლებიც ასწავლიან ბუღალტრულ აღრიცხვას და უნივერსიტეტები. ასევე იგეგმება სახელმწიფო მოხელეთა მონაწილეობაც.

STAREP-ის პროგრამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ურთიერთსწავლება ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა პრაქტიკოსთა საზოგადოებები, რაც საშუალებას მისცემს მონაწილეებს, მიიღონ სხვა ქვეყნების დადებითი გამოცდილება და ეფექტურად განახორციელონ რეფორმები. ასევე დიდ როლს თამაშობს აქტიურობა თავად სახელმწიფოს შიგნით, რაც აუცილებელია ცვლილებების დასანერგად.“

STAREP-ის პროგრამის კოორდინირებას ახდენს ფინანსური აღრიცხვის რეფორმირების ცენტრი – მსოფლიო ბანკის ცენტრი კორპორაციული ფინანსური აღრიცხვის ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამის საწყისი დაფინანსების წყარო გახლავთ ავსტრიის განვითარების სააგენტო და ავსტრიის ფინანსთა სამინისტრო.